პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომა

სხდომის ოქმი N1

შეხვედრის დასახელება	**პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**20 თებერვალი, 2015 წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	**თანამდებობა**
თამარ სანიკიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი - საბჭოს თავმჯდომარე
დავით გალეგაშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
ელგუჯა მელაძე	ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
მაია ჩიხლაძე	ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ქალ მეწარმეთა ასოციაციის გამგეობის წევრი
შალვა ალავერდაშვილი	ა(ა)იპ საქართველოს სასტუმრო და სარესტორნო ფედერაციის დამფუძნებელი
ირაკლი პეტრიაშვილი	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
თამაზ დოლაბერიძე	ა(ა)იპ საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი
ლავრენტი ალანია	ა(ა)იპ საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი
ამირან ზენაიშვილი	ა(ა)იპ საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი
გოჩა ალექსანდრია	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
ირინე ინასარიძე	ა(ა)იპ ასოციაცია „ანიკა"- ს დირექტორი
თემურ ყანდაშვილი	ა(ა)იპ კავშირის „განათლება და კეთილდღეობა" გამგეობის თავმჯდომარე (კოალიცია განათლება ყველასათვის გამგეობის წევრი)
ალექსანდრე ეჯიბაძე	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული განათლების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე
იური ლებანიძე	ა(ა)იპ საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებისა და მხარდაჭერის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
ნინო ღანიშაშვილი	ა(ა)იპ ქალთა ბიზნეს ასოციაცია „ვიმენ ფორ თუმოროუ"-ს აღმასრულებელი დირექტორი
ლალი ღოღობერიძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინიტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
ირაკლი შურღულაია	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში" ექსპერტი

იოხემ თაისი	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ საქართველოს კომპონენტის ხელმძღვანელი
ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში - პროექტის მენეჯერი
თეა გულუა	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, პროექტის „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლების და გადამზადების, საკონსულტაციო მომსახურების სისტემების მოდერნიზაცია“ პროფესიული განათლების სპეციალისტი
რუდიგერ ჰეინინგი	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, პროექტის „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლების და გადამზადების, საკონსულტაციო მომსახურების სისტემების მოდერნიზაცია“ მენეჯერი
ნინო ნარეშელაშვილი	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრი
ნინო ქუთათელაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ასისტენტი
დევიდ ჰენდლი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ჯგუფის ხელმძღვანელი
ნოდარ სურგულაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) უმაღლესი განათლების პროექტის დირექტორი
მაგდა მაღრაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელი დირექტორი
გიორგი ნანობაშვილი	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ეკონომიკური განვითარების გუნდის უფროსი
გიორგი დიდიძე	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინიტროს რეფორმებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
თამარ ქიტიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
ნიკოლოზ მესხიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი
ანა ჩხიკვაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელი
შეხვედრის მდივანი	
ნათია გვირჯიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

შეხვედრის დღის წესრიგი	
საკითხი #1	
პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს განახლებული დებულებისა და საბჭოს შემადგენლობის გაცნობა	ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი
საკითხი #2	

თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმირების საკითხის განხილვა	თამარ ქიტიაშვილი - პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ქ-ნი თამარ სანიკიძე მიესალმა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომის მონაწილეებს. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეროვნული პროფესიული საბჭოს განახლებამდე, გასულ წელს არსებული საბჭოს შემადგენლობით ჩატარდა გარკვეული სამუშაოები, თუმცა მას შემდეგ რაც სამინიტრომ მიიღო კონკრეტული რეკომენდაციები და შენიშვნები სათათბირო ორგანოს ფორმატთან დაკავშირებით და მოხდა აღნიშნული რეკომენდაციების დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შესწავლა, სამინისტრომ დაიწყო საბჭოს განახლება. შესაბამისად, იმისათვის, რომ საბჭოს მუშაობა გამხდარიყო უფრო ქმედითი, ზემოხსენებული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდა საბჭოს ფორმატის გადახედვა და განახლება. ქ-ნმა თამარმა დასძინა, რომ სათათბირო ორგანოს განახლებისას ასევე გათვალისწინებულ იქნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფორმატიც, რომელიც ეფუძნება სოციალური პარტნიორობის პრინციპებს.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა განახლებული ფორმატის საბჭოს წევრებთან უფრო აქტიური თანამშრომლობის იმედი და მზადყოფნა, რადგან პროფესიული განათლების სისტემისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა სწორედ საბჭოს სხდომებზე უნდა მოხდეს. ქ-ნმა თამარ სანიკიძემ განმარტა, რომ სისტემურ დონეზე მიმდინარე პროცესებში თითოეული მხარის აქტიური მონაწილება ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკურებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება პროფესიული განათლების სისტემისათვის მწვავე საკითხებს.

ქ-ნმა თამარ სანიკიძემ მხარეებს მიმართა თხოვნით, შეხვედრის მონაწილეებისათვის საბჭოს ახალი წევრების გაცნობის მიზნით წარმოედგინათ საბჭოს შემადგენლობა. აღნიშნულ პროცესს გაუძღვა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ქ-ნი თამარ ქიტიაშვილი. მან გაფართოებული სხდომის მონაწილეებს წარუდგინა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის #279 განკარგულებით გათვალისწინებული მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხარეები და თხოვნით მიმართა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტს - ბ-ნ ელგუჯა მელაძესა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარეს - ბ-ნ ირაკლი პეტრიაშვილს წარმოედგინათ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წარმომადგენლები.

ბ-ნმა ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს განახლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი შეჯერებულია და განხილულია სოციალურ პარტნიორებთან. შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაც ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე მოხდა. მან გამოთქვა იმედი, რომ სათათბირო ორგანოს განახლებული ფორმატი, სადაც სოციალურ პარტნიორებთან ერთად წარმოდგენილია მეოთხე მხარე სამოქალაქო საზოგადოების სახით

იქნება უფრო ეფექტური. ბ-ნმა ელგუჯამ აღნიშნა, რომ დამსაქმებელთა ასოციაცია მხარს დაუჭერს საბჭოს თითოეულ წევრს საბჭოს მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. მან შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა ზემოხსენებული განკარგულებით გათვალისწინებული დამსაქმებელთა ასოციაციების/გაერთინებების წარმომადგენლები.

ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ საბჭოს წევრები ორიენტირებულნი იქნებიან პროფესიული განათლების სისტემაში არსებული გამოწვევების აღმოფხვრაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ სოციალურ პარტნიორებთან კონსესუსის გზით მიღწეულ იქნა შეთანხმება განახლებული საბჭოს ფორმატთან დაკავშირებით. ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო საბჭოს წევრი პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლები.

მას შემდეგ რაც სხდომის მონაწილეები გაეცნენ საბჭოს ახალ შემადგენლობას, ბ-ნმა ნიკოლოზ მესხიშვილმა - პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი. მან დეტალურად ისაუბრა იმ პროცესისა და რეკომენდაციების შესახებ, რაც წინ უძღოდა საბჭოს განახლებას. ბ-ნმა ნიკოლოზმა ასევე წარმოადგინა ის ცვლილებები, რომელიც შევიდა „პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს" დებულებაში (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 ნოემბრის #203 დადგენილება „პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ"): ცვლილება სახელწოდებაში, საბჭოს მიზანი, საბჭოს შემადგენლობა, გადაწყვეტილების მიღების წესი, საბჭოს წევრის გაწვევა და საბჭოს მხარეთა ვალდებულებები.

ქ-ნმა თამარ სანიკიძემ კომენტარი გააკეთა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის შესახებ და აღნიშნა, რომ თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმირება ეხება საბჭოს მუშაობის ფორმატს. სამინისტროს მხრიდან შეთავაზებული ფორმატის მიზანია საბჭოს მუშაობა გახდეს უფრო მოქნილი. მან დასძინა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თითოეული წევრის მოსაზრება არის მნიშვნელოვანი და თემატური სამუშაო ჯგუფების საჭიროების განხილვის პროცესში გათვალისწინებული იქნება სხდომის წევრების პოზიცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა თამარ ქიტიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოს დებულების თანახმად, სათათბირო ორგანო უფლებამოსილია გარკვეული საკითხების დამუშავების მიზნით შექმნას დროებითი ან მუდმივმოქმედი თემატური სამუშაო ჯგუფები. ქ-ნმა თამარმა დასძინა, რომ სწორი იქნება თუ თემატურ სამუშაო ჯგუფებს შექმნის საბჭო და საბჭოს წევრების ან მათი უფლებამონაცვლე პირების მიერ მოხდება სხვადასხვა თემების განხილვა, დამუშავება და უკვე დამუშავებული საკითხის საბჭოს სხდომაზე წარდგენა. მან ასევე განმარტა, რომ შესაძლოა ერთობლივი გადაწყვეტილებით თემატურ სამუშაო ჯგუფებში მოწვეულ იქნას დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტები, რომელიც ჩაერთვება სამუშაო პროცესში.

ქ-ნმა თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიმდინარე სხდომაზე მოხდება მხოლოდ თემატური სამუშაო ჯგუფების საჭიროებაზე შეთანხმება. მან შეხვედრის მონაწილეებს წარმოუდგინა ის თემატური სამუშაო ჯგუფები, რომელთა ფორმირებაც მიზანშეწონილია პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

თამარ ქიტიაშვილმა წარმოადგინა შემდეგი თემატური სამუშაო ჯგუფები:

- *საბჭოს რეგლამენტის შემუშავების მიზნით შექმნილი თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *კერძო სექტორის პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმებზე მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სამუშაო ჯგუფი;*
- *თემატური ჯგუფი - ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში.*

ქ-ნმა თამარმა ისაუბრა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი თემატური ჯგუფების საჭიროებაზე, მათი ფორმირებისა და წევრთა სელექციის პროცესზე. მან ასევე მიმოიხილა თემატური ჯგუფის მხარდამჭერი დონორი ორგანიზაციების ჩართულობა და ზოგადად წარმოადგინა ის საკითხები, რომელთა განხილვაც მოხდება თემატური ჯგუფების ფარგლებში.

ქ-ნმა თამარ სანიკიძემ გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ქ-ნი თამარ ქიტიაშვილის მიერ წარმოდგენილი თემატური ჯგუფები შეთავაზებულია პროფესიული განათლების სისტემაში არსებული საჭიროებების შესაბამისად (მუდმივმოქმედი ან დროებითი თემატური სამუშაო ჯგუფი), რაც ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია სამომავლოდ, აუცილებლობიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგეს თემატური სამუშაო ჯგუფების გადახედვის საკითხი.

მას შემდეგ, რაც სხდომის მონაწილეები გაეცნენ სამინიტროს პოზიციას თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმირებასთან დაკავშირებით, მათ მიეცათ შესაძლებლობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. მოსაზრებები გამოთქვეს როგორც სოციალურმა პარტნიორებმა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა, ასევე დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც.

ა(ა)იპ ასოციაცია „ანიკა"- ს დირექტორმა, ქ-მა ირინე ინასარიძემ საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფის შესახებ.

ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული განათლების ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ალექსანდრე ეჯიბაძემ გამოთქვა არაფორმალური განათლების აღიარებაზე მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფის შექმნის სურვილი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსმა, ქ-ნმა ლალი ღოღობერიძემ გამოთქვა სამეწარმეო განათლების საკითხებზე მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფის ფორმირების ან სამეწარმეო საკითხების რომელიმე თემატურ ჯგუფთან (თემატიკიდან გამომდინარე) ინტეგრირების სურვილი.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სახელით გააკეთა კომენტარი ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა და აღნიშნა, რომ ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფუნქცია არის სამინისტროს გაუწიოს დახმარება რეკომენდაციების ან ექსპერტული მხარდაჭერის ფორმით, რათა მოხდეს მთავრობის, არასამთავრობო სექტორისა და სოციალური პარტნიორების მომზადება იმისათვის, რომ მათ სამომავლოდ დამოუკიდებლად მართონ პროფესიული განათლების სფერო. მხარდაჭერა ასევე გულისხმობს შერჩეული თემატური სამუშაო ჯგუფის/ჯგუფების ფასილიტაციას.

განხილულ საკითხზე კომენტარი გააკეთა პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის" ჯგუფის ხელმძღვანელმა ბ-ნმა დევიდ ჰენდლიმ. მან აღნიშნა, რომ MCA-ის ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დახმარება განხორციელდება ორი მიმართულებით: სამინიტროს მხარდაჭერა თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმირებაში და პროექტისათვის საინტერესო თემატური ჯგუფის/ჯგუფების მუშაობის ფასილიტაცია, რომელიც ასევე გულისხმობს მნიშვნელოვანი საკითხების დამუშავებისას თემატური სამუშაო ჯგუფების ექსპერტულ დახმარებას.

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა, ბ-ნმა რუდიგერ ჰეინინგმა აღნიშნა, რომ გაეროს განვითარების პროგრამა ფასილიტაციას გაუწევს ორ სამუშაო ჯგუფს, კერძოდ: სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების თემატურ სამუშაო ჯგუფსა და სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სამუშაო ჯგუფს, რომელსაც სასურველია უხელმძღვანელოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

ქ-ნმა თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობის პროცესში დონორების მხარდაჭერის არეალი არ გასცდება მათი პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში უკვე გაწერილ გეგმასა და ბიუჯეტს. მან დააკონკრეტა, რომ დონორების მხარდაჭერაში იგულისხმება თემატური სამუშაო ჯგუფების ფასილიტაცია და არა მათი ხელმძღვანელობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ბ-ნმა დავით გალეგაშვილმა აღნიშნა, რომ არსებობს სოფლის მეურნეობის სფეროში გარკვეული გამოწვევები, რაც გამომდინარეობს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში სფეროს ცოდნისა და პროფესიული განათლების არ არსებობით. სწორედ, სოფლის მეურნეობის კუთხით მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფი იმუშავებს ისეთ საკითხზე, რომელიც განსაზღვრავს თუ რა გზებით და რა

მექანიზმებით უნდა მოხდეს ძალების კონცენტრაცია სოფლის მეურნეობაში არსებული გამოწვევების დასაძლევად.

შეხვედრის დასასრულს ბ-ნმა ნიკოლოზ მესხიშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია ევროკავშირის პროექტის „დასაქმება და პროფესიული განათლება და გადამზადება" ფარგლებში ფორმირებული სექტორული საკოორდინაციო საბჭოს შესახებ და სხდომის მონაწილეებს შეახსენა, რომ აღნიშნულ საბჭოში წარმოდგენილია ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენლის სტატუსით ბ-ნი ელგუჯა მელაძე. თუ განახლებული საბჭოს წევრები არ დააფიქსირებენ წინააღმდეგობას სექტორულ საკოორდინაციო საბჭოში ბ-ნი ელგუჯას ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობასთან დაკავშირებით, ბ-ნ ელგუჯა მელაძეს გაუგრძელდება უფლებამოსილება სექტორულ საკოორდინაციო საბჭოში. აღნიშნულზე, სხდომის მონაწილეებს წინააღმდეგობა არ დაუფიქსირებიათ.

დისკუსიის შედეგად სხდომის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ:

მოხდება შემდეგი თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმირება:

- *საბჭოს რეგლამენტის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;*
- *სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *კერძო სექტორის პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმებზე მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *პროფესიული კონსულტაციის/კარიერის დაგეგმვისა და სამეწარმეო განათლების თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სამუშაო ჯგუფი;*
- *თემატური ჯგუფი - ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში;*
- *არაფორმალური განათლების აღიარების საკითხებზე მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფი.*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საბჭოს წევრებს მიაწოდებს ინფორმაციას თემატური სამუშაო ჯგუფების სამუშაო აღწერილობისა და სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ, რის შემდეგაც საბჭოს წევრები სამინისტროს წერილობითი ფორმით მიაწოდებენ ინფორმაციას თუ რომელ თემატურ ჯგუფში/ჯგუფებში აქვთ ჩართვის სურვილი, შესაბამისი კანდიდატის მითითებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (31.02.2014 წლის #389) ბრძანების საფუძველზე ფორმირებული სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა პროფესიული განათლების კანონის კონცეფცია, რომლის საფუძველზეც სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ მომზადდება პროფესიული განათლების კანონის სამუშაო ვერსია. აღნიშნულ კანონპროეტს საბჭოს წევრები სხდომაზე წარდგენამდე ელექტრონული ფორმით მიიღებენ, მათი მხრიდან კანონპროექტთან დაკავშირებული რეკომენდაციების ასახვის მიზნით.

ბ-ნ ელგუჯა მელაძეს, გაუგრძელდება უფლებამოსილება სექტორული საკოორდინაციო საბჭოში, როგორც ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენლს.

სხდომა შეჯამდა და დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ----------/თამარ სანიკიძე/

სხდომის მდივანი ----------/ნათია გვირჯიშვილი/